



# ლაითურში უყვართ სპორტი

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა მახარაძის რაიონში. ამ კოლექტივის გუნდი „გიგანტი" საქართველოს პირველობაზე I ჯგუფში გამოდის. რაიონის ნაკრებ გუნდებში ბევრ ლაითურელს ნახავთ. მათ ჰყავთ 2 სპორტის ოსტატი, 23 პირველთანრიგოსანი და 144 მეორეთანრიგოსანი. წლეულს „კოლმეურნის" რაიონულ სპარტაკიადაში ლაითურელმა სპორტსმენებმა I ადგილები დაიკავეს კალათბურთში, ხელბურთში და თავისუფალ ჭიდაობაში. პირველნი იყვნენ კომპლექსურ ჩათვლაშიც. მეურნეობა-ტექნიკუმში სექციებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები ვ. შავიშვილი, კ. ინწკირველი, მ. ხაბელაშვილი, გ. დვალიშვილი, ს. დოლიძე და სხვ.

**ზ. გვარჯალაძე,**
ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ლაითურელი ლელობურთელების, მაგიდის ჩოგბურთელებისა და მოჭიდავეთა ვარჯიშის მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 203 (4197)

1970 წ. 15 ოქტომბერი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



**როცა გაზეთი ყოველდღიური გახდა იყო... 1945**

◆ მოსკოვი, 14 ოქტომბერი. აქ ცნობილი გახდა იმ ტანმოვარჯიშე ქალებისა და ვაჟების ვინაობა, ვინც მონაწილეობას მიიღებს ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში (22-27 ოქტომბერი). ესენი არიან: ქალები — ლ. ბურდა (ვორონეჟი), ზ. ვორონინა (მოსკოვის ოლქი), ო. კარასიოვა, ლ. პეტრიკი (ორივე — მოსკოვი), ლ. ტურიშჩევა (გროზნი), თ. ლაზაკოვიჩი (ვიტებსკი), ო. კორბუტი (გროდნო) და რ. სიხარულიძე (ბათუმი); ვაჟები — მ. ვორონინი, ს. დიომიდოვი, ვ. კლიმენკო (სამივე — მოსკოვი), ვ. ლისიცკი (მოსკოვის ოლქი), ვ. კარასიოვი, გ. ბოგდანოვი (ორივე — მოსკოვი), ვ. ფოგელი (მოსკოვის ოლქი) და ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი).

◆ კრასნოიარსკი, 14 ოქტომბერი. აქაურ ჰიდრომშენებლებს შეფობას უწევს დიდოსტატი მ. ბოტვინიკი. და აი, სახელოვანი მოჭადრაკე ეწვია კრასნოიარსკის ჰესის მშენებლებს და ერთდროული სეანსი ჩაატარა ჭადრაკის ადგილობრივ მოყვარულებთან: მან 25 პარტიიდან 24 თავის სასარგებლოდ დაამთავრა, ერთი კი წააგო — მუშა ნ. ნიკიფოროვთან.

◆ ბონი, 14 ოქტომბერი. აქ გამართულ შეჯიბრებაში მძლეოსანმა ქალმა კ. ფრეზემ 400 მეტრი დაფარა 52,4 წამში. ეს შედეგი გფრ-ის ახალი რეკორდია და მესამეა მსოფლიოში ამ სეზონში.

◆ ბუდაპეშტი, 14 ოქტომბერი. მარცხი იწვნიეს ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა ევროპული ლიგის ახალი გათამაშების პირველსავე მატჩში. საბჭოთა გუნდმა უნგრელებთან შეხვედრა წააგო დიდი ანგარიშით — 0:7. სსრ კავშირის სპორტსმენებმა ორჯერ იზეიმეს გამარჯვება წინა გათამაშებებში, შარშან შვეციის გუნდთან კი დათმეს პირველობა შეხვედრათა უარესი შეფარდებით.

◆ ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. რუმინელ მრავალჭიდელ მძლეოსანთა ასპარეზობაში 24 წლის სპორტსმენმა ქალმა ვ. ბუფანომ 100 მეტრზე თარჯერბენში აჩვენა მაღალი შედეგი — 12,9 წამი. იგი მსოფლიოში მეხუთე სპორტსმენია, რომელმაც ეს მანძილი დაფარა 13 წამზე უკეთეს დროში.

# „ლელოს" პრიზი

17 და 18 ოქტომბერს თბილისის ველოტრეკზე ჩატარდება გაზეთ „ლელოს" პრიზის გათამაშება. ასპარეზობა მიზნად ისახავს საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადებისთვის ჩვენი წამყვანი ველოსიპედისტების მზადების შემოწმებას. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ პერსონალურად დაშვებული ველოსიპედისტები.

17 ოქტომბრის პროგრამაშია სატრეკო ველოსპორტის ორი სახეობა — სპრინტი და ინდივიდუალური რბოლა 3 კილომეტრზე გამოდევნებით. ერთი დღის შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი იასპარეზებენ 500 მეტრზე გიტში (სვლით) და ჯგუფურ რბოლაში 60 წრეზე, 12 საშუალედო ფინიშით.

გამარჯვებული გამოვლინდება მრავალჭიდის (ოთხი სახეობის) ჯამში და გადაეცემა „ლელოს" სპეციალური პრიზი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროგრამის ყოველ ცალკეულ სახეობაში გამარჯვებული მიიღებს 11 ქულას, მომდევნო ადგილებზე გასულები — 9, 8, 7 ქულას და ა. შ.

როგორც ხედავთ, ასპარეზობის პირობები ერთობ თავისებურია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ასეთი სახის შეჯიბრება (მრავალჭიდი) იშვიათად ჩატარებულა. მაგრამ მას ერთი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: მრავალჭიდი სპორტსმენს საშუალებას მისცემს გამოსცადოს თავისი უნარი და შესაძლებლობა აქამდე უჩვეულო დისტანციაზე და სახეობაში. მაგალითად, სპრინტერი თავის თავს შეამოწმებს საშუალო დისტანციაზე, ხოლო საშუალო მანძილზე მრბოლელი — სპრინტში.

სატრეკო ველოსპორტი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია და ჩვენს მწვრთნელებს „ლელოს" პრიზის გათამაშებაში ერთხელ კიდევ მიეცემათ საშუალება ნახონ, თუ რა ხარვეზები გვაქვს დიდი ფორუმისთვის მზადების პროცესში, რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და კონკრეტულად რომელ ველოსიპედისტებზე შეიძლება დაყრდნობა. ცხადია, ეს შეჯიბრება რესპუბლიკისა და საკავშირო სპარტაკიადებამდე კიდევ ბევრი ასპარეზობით შეიცვლება. მაგრამ რედაქცია რწმენას გამოთქვამს, რომ „ლელოს" პრიზის გათამაშება მცირე წვლილს მაინც შეიტანს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის წარმატებით მზადების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ისღა დაგვრჩენია ველოსპორტის გულშემატკივრებს ვაცნობოთ, რომ ასპარეზობა ორივე დღეს 18 საათზე დაიწყება.

**ტელეტაიპით [illegible]**

ჩვენ ვიტყობინებოდით ხარკოველი საშუალო წონის ძალოსნის ბ. პავლოვის მსოფლიო რეკორდზე სამჭიდში. როგორც დაზუსტდა, პავლოვი მეორე მსოფლიო რეკორდის ავტორიც გახდა: მან მესამე ცდაზე 192,5 კგ აჰკრა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია.

# მ. ელერდაშვილი მეორე ადგილზეა

ალმა-ათაში ახლახან დამთავრებულ ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა მოზარდთა ტურნირებიც. 15 წლამდე ასაკის გოგონებში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა მარინე ელერდაშვილმა. იგი ფინალში გავიდა და მხოლოდ აქ დამარცხდა შევჩენკოსთან — 0:6, 2:6.

დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია: 15-16 წლის გოგონები. ვორსინა—ზინინა 6:4, 6:8; 17-18 წლის გოგონები. გრანატუროვა—ბოროდინა 6:0, 8:6, 6:0; ბიჭები. აბოვიანი—ჟუკოვი 8:6, 6:1; 15-16 წლის ჭაბუკები. ბოგომოლოვი — ვასილევსკი 6:2, 6:2; 17-18 წლის ჭაბუკები. პოზდნიაკოვი — ლიტვინოვი 14:12, 6:4.

მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატში III ადგილებისთვის ბრძოლა ასე დამთავრდა: ქალთა ერთეულები. ერემეევა—იზოპაიტისი 7:5, 7:5; ქალთა წყვილები: კული, პარმასი — ისლანოვა, იზოპაიტისი 6:2, 6:4; ვაჟთა ერთეულები. ეგოროვი — ვოლკოვი 3:6, 4:6, 7:5, 8:6, 6:0; ვაჟთა წყვილები. ლეიუსი, სივოხინი — ვოლკოვი, ტარპიშჩევი 6:4, 6:3, 3:6, 2:6, 7:5; შერეულ წყვილებში III ადგილი წილად ხვდათ პარმასსა და ლეიუსს.

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

# ს უ ს ტ ა დ ი თ ა მ ა შ ე ს

ერევანი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). მეორე ჯგუფის რეგბისტთა საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირის მეორე კალენდარულ დღეს თბილისის „დინამოს" მეტოქე კიევის „სპარტაკი" გახლდათ. საქართველოს რეგბისტებმა მატჩში თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარეს და დამარცხდნენ — 5:19. კიევის „სპარტაკი" ამ გამარჯვებით ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ვილნიუსის გუნდმა მოუგო მოსკოვის ოლქის „ხიმკის" — 16:8.

მეტად დაძაბული გამოდგა ერევნის „დინამოსა" და ნალჩიკის „სპარტაკის" მატჩი. მასპინძლებმა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 11:8.

დღეს III ტურის მატჩებია. თბილისელები ნალჩიკის „სპარტაკს" ეთამაშებიან.

**როცა გაზეთი ყოველდღიური გახდა იყო...**

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

## სპარტაკიადებისთვის მზადება

## ფავორიტები არ ჩანდნენ







ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ყველა სპორტული ღონისძიება საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადების ნიშნით ტარდება, თბილისის საკლუბო გუნდების ტურნირი მძლეოსნობაში კი სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიას" პრიზის გათამაშების „ბ" ფინალისთვის ძალთა შემოწმებასაც ისახავდა მიზნად.

„ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში ჩაებნენ უნივერსიტეტის, ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, სამედიცინო და პედაგოგიური ინსტიტუტების, სპორტული კლუბების — „განთიადის", „ელმავლის", „ისინდისა" და „მშენებლის" გუნდები, რომლებიც ორ ჯგუფად დაიყვნენ. I ჯგუფი უმაღლესი სასწავლებლების მძლეოსნებმა შექმნეს, სხვები II ჯგუფში ცდიდნენ ძალას.

გასაკვირია, რომ ტურნირში მონაწილეობა არ მიიღეს კარგი მძლეოსნური ტრადიციების მქონე სპორტკლუბებმა „გამარჯვებამ" და „სინათლემ". აღარას ვამბობთ „უშბაზე", რომლის ხელმძღვანელებმა თავი იმართლეს, შეჯიბრების შესახებ არაფერი ვიცოდითო, და „ფეიქარზე", რომლის სპორტსმენებიც „სპორტის დედოფალს" ბოლო წლებში საერთოდ თავს არიდებენ.

კირთვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვების" მძლეოსნები სულ ოთხიოდე წლის წინ საწარმოთა კოლექტივებს შორის თბილისში კი არა, რესპუბლიკაშიც ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ. ახლა მათ პოზიციები დათმეს მძლეოსნობაშიც და სხვა სახეობებშიც. ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის" მძლეოსნები სსრ კავშირის ხალხთა და პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადებში ფიზკულტურული კოლექტივების ტურნირებში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ, ახლა კი საერთოდ არ გამოჩნდნენ ხარბიელზე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსაც საკმაოდ ძლიერი მძლეოსნები ჰყავს, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ვერც ისინი ვიხილეთ.

კარგ ღონისძიებას ჩრდილი იმანაც მიაყენა, რომ მსაჯების უკმარობის გამო ტურნირი ხარვეზებით მიმდინარეობდა. წესი ასეა: მსაჯთა საქალაქო თუ რესპუბლიკური კოლეგიები ამა თუ იმ ტურნირის მთავარ მსაჯს, მის მოადგილეებს, მდივანს გამოყოფენ, კადრების დარგში მოადგილემ კი დანარჩენ მსაჯთა შერჩევისთვის უნდა იზრუნოს. მაგრამ თბილისელი მსაჯები ბოლო წლებში მოვალეობას თავს არიდებენ, რაც შეჯიბრების სპორტულ შედეგებზეც მოქმედებს.

მსაჯთა საქალაქო და რესპუბლიკურმა კოლეგიებმა, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო და რესპუბლიკურ კომიტეტებში მძლეოსნობაზე პასუხისმგებელმა პირებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღკვეთონ შეჯიბრებებისადმი მსაჯთა გულგრილი დამოკიდებულება, უნდა იზრუნონ, რათა მძლეოსნური შეჯიბრებები ასე უფერული აღარ იყოს.

ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის ნაკრების სხვა სპორტსმენებიც, რომლებსაც ზემოაღნიშნულ კლუბებთან საერთო არა აქვთ რა.

სპორტსმენთა მაჩვენებლებიდან ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე შედეგი: დინამოელმა ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა ლ. ტულუშმა (მწვრთნელი მ. ტულუში), რომელიც ორი შვილის დედაა, ბადროს ტყორცნაში (54,30) და ბირთვის კვრაში (14,62) პირადი რეკორდები დაამყარა. მისი ბოლო შედეგი საქართველოს ახალი რეკორდიცაა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი) უროს ტყორცნაში თავისივე რესპუბლიკური რეკორდი 63,80 მეტრამდე აიყვანა, უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. სანიკიძემ (მწვრთნელი ნ. კალანდაძე) 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 1:37.47,8. მან მოუგო გამოცდილ ოსტატს ი. დელა-როსას („განთიადი"). 2000 მ წინაღობებით რბენაში გამარჯვებულმა ა. მიქოიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი — 5.53,0. 80 მ თარჯრბენში სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონმა ლ. იეულევამ (უნივერსიტეტი) 100 მ თარჯრბენში (14,4) და სიგრძეზე ხტომაში (610 სმ) ოსტატობის კანდიდატის შედეგები აჩვენა, სიგრძეზე ხტომაში იგი საქართველოს რეკორდს (625 სმ) უტევდა, ერთ-ერთ ცდაზე მიზანთან სულ ახლოსაც იყო (628 სმ), მაგრამ მსაჯებმა შედეგი არ ჩათვალეს, ვინაიდან იეულევა საკონტროლო ხაზს შეეხო ფეხით.



საინტერესო გამოდგა 100 მეტრზე ვაჟთა რბენის ფინალი. აქ გამარჯვება მოიპოვა 110 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ჩემპიონმა იუნიორთა შორის ა. მოშიაშვილმა (უნივერსიტეტი) — 10,6, რომელმაც თანაგუნდელ თ. მდინარაძეს ფინიშზე მკერდით მიასწრო. მოშიაშვილმა თავის ძირითად სახეობაში რბენაც მოიგო — 14,5, მდინარაძემ კი 200 მეტრზე ასპარეზობაში გაიმარჯვა — 22,1. მაღალი თანრიგებით ყველაზე უხვმოსავლიანი მაინც 110 მ თარჯრბენი იყო — ხუთმა სპორტსმენმა ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის შედეგი აჩვენა.

ქალებიდან აღსანიშნავია ტ. სერდიუკოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც სამი გამარჯვება იზეიმა: 100 და 200 მ რბენა, აგრეთვე, 4×100 მეტრზე ესტაფეტა მოიგო. გაგაცნობთ სხვა I თანრიგის შედეგებს და უკეთეს მაჩვენებლებს: ქალები. სიგრძეზე ხტომა. ც. ჩოლიაშვილი (პირადი) — 592; სიმაღლეზე ხტომა. ლ. გუკი — 165; შუბის ტყორცნა. დ. სამაური (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 48,68. ვაჟები. რბენა. 100 მ. გ. ქავთარაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 11,0; 200 მ. ა. ანდრეევი („ელმავალი") — 22,5; 800 მ. გ. სტარიჩკოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.57,0; 2000 მ წინაღობებით. ზ. ქავზინაძე (უნივერსიტეტი) — 6 წუთი; 4×100 მ ესტაფეტა. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 43,3; ბირთვის კვრა. გ. მაისურაძე (უნივერსიტეტი) — 16,32; 20 კმ სპორტული სიარული. ი. დელა-როსა — 1:40.42,0; ი. პუტინცევი („ისინდი") — 1:42.30,3; სიგრძეზე ხტომა. ზ. ალხანიძე („კოლმეურნე", პირადი) — 722, ვ. ჩუკანოვი — 713; სიმაღლეზე ხტომა. ვ. უზმორსკი (ორივე — უნივერსიტეტი) — 190; შუბის ტყორცნა. კ. გორძამაშვილი („დინამო", პირადი) — 75,52; ბადროს ტყორცნა. გ. გუდაშვილი (უნივერსიტეტი) — 54,40; უროს ტყორცნა. ე. გაფრინდაშვილი (სამედიცინო ინსტიტუტი) — 54,12.

გუნდურ ჩათვლაში უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლექტივებმა. მომავალმა ინჟინრებმა საბოლოოდ 470 ქულა დააგროვეს და ფიზკულტურის ინსტიტუტთან 15 ქულა წააგეს. III ადგილზეა უნივერსიტეტი — 346. სამედიცინო ინსტიტუტის მძლეოსნებმა, რომელთა გუნდის შემადგენლობაში არ იყო ვ. ქუთათელაძე, IV ადგილი მოიპოვეს.

სპორტკლუბებში იმარჯვა „მშენებლის" (პოლიტექნიკუმი) ნაკრებმა — 97 ქულა. II ადგილზეა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი („ისინდი") — 92, III — „ელმავალი" — 82.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ტ. სერდიუკოვა შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტო.

# წინ გადამწყვეტი ბრძოლებია

**16-25 ოქტომბერს ქალაქ ფენიქსში (აშშ) გაიმართება ტყვიის მსროლელთა და მესტენდურეთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას. ტასს-ის კორესპონდენტი ნ. ფომიჩევი გვიამბობს, როგორ ვითარდებოდა სპორტის ეს სახეობები საბჭოთა კავშირში, როგორ მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრები, რა პერსპექტივები აქვთ მათ ფენიქსის შეჯიბრებაში.**

საბჭოთა კავშირის მსროლელთა ნაკრებში დღეს იმ წელიწადს დაბადებული სპორტსმენებიც არიან, როცა საბჭოთა მსროლელები პირველად გავიდნენ საერთაშორისო ხარბიელზე. ეს იყო 1952 წელი. საბჭოთა სნაიპერები სპორტულმა სამყარომ სწორედ მაშინ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში გაიცნო. ბოგდანოვის ოქროს მედალი, ვ. ანდრეევის ვერცხლი და ბრინჯაო, ლ. ვაინშტეინის ბრინჯაო — ასეთი იყო ახალბედების ჰელსინკური ნადავლი.

საბჭოთა ოსტატებმა ორი წლის შემდეგ ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლების სოლიდური კომპლექტი მოიგეს. ამასთან, ისინი ასპარეზობდნენ არა აღიარებული „ვალტერით", „სმითით და ვესონებით", „კოლტით", არამედ სამამულო კონსტრუქციის პისტოლეტით. კონსტრუქტორ მარგოლინის სახელი უცხოელ ჩემპიონებს არც კი სმენოდათ. მათ ალბათ ძალიან განაცვიფრებდა ის ამბავი, რომ კონსტრუქტორ მ. მარგოლინს თავისი შრომის ნაყოფი ერთხელაც კი არ უნახავს. 50 წლის წინ 18 წლის ჭაბუკმა ოცეულის მეთაურმა მარგოლინმა თეთრ ბანდიტებთან ბრძოლაში მხედველობა დაკარგა. მიუხედავად ამისა, იარაღის შესანიშნავი ცოდნის წყალობით მან შეძლო შეექმნა პისტოლეტი, რომელმაც თვისებებით უცხოური ფირმების სახელგანთქმულ იარაღებს აჯობა. საბჭოთა მსროლელებმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში საბოლოოდ დაამკვიდრეს უძლიერესთა სახელი. ბოგდანოვმა კვლავ ოქროს მედალი მოიგო. მას შეუერთდნენ ვ. ბორისოვი და ვ. რომანენკო. სსრ კავშირის გუნდმა კიდევ სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. სასტენდო სროლაში პრიზიორთა რიცხვში პირველად მოხვდნენ საბჭოთა ოსტატები ი. ნიკანდროვი და ნ. მოგილიოვსკი.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, საბჭოთა სნაიპერებმა 74 ოქროს, 15 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოიგეს. ამასთან, 8 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

ამას მოჰყვა წარმატებანი რომის, ტოკიოს, მეხიკოს ოლიმპიადებში, ოქროს მედლები მსოფლიო ჩემპიონატებში. გუნდები ახალგაზრდავდებოდა, იცვლებოდა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენების ხელწერა და ოსტატობა ძველი რჩებოდა. ამას ევროპის ბოლო ჩემპიონატი ადასტურებს.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენში ტყვიის მსროლელები ასპარეზობდნენ. სსრ კავშირის სპორტსმენებმა პირველივე დღეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ორი მიღწევის ავტორი იყო მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი გ. კოსიხი, რომელმაც სამატჩო პისტოლეტით პირად შეჯიბრებაში 572 ქულა მიიღო, გუნდთან ერთად კი 2238 ქულა დააგროვა. სულ სსრ კავშირის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიიდან ყველაზე მეტი ჯილდო — 15 ოქროს, 13 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი წამოიღო.

სტოკჰოლმში, სადაც ტურნირი მოძრავ სამიზნეებზე გაიმართა, ა. ბუტცისმა, ვ. პოსტოიანოვმა, ვ. სტარატელიოვმა და ვეტერანმა ი. ნიკიტინმა „გაქცეულ ტახზე" შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარეს და კონტინენტის ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

პოლონეთში, სადაც პნევმატური შაშხანით სროლაში ევროპის თასის გათამაშება მოეწყო, პირადი შეჯიბრება ვ. პარხიმოვიჩმა მოიგო. თასი მოსკოვში წამოიღეს.

ახლა საბჭოთა სპორტსმენებს ახალი გამოცდა ელით. ამის შესახებ ფომიჩევს ესაუბრა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ე. პოლიკარპოვი.

— ჩვენი სპორტსმენები ამას წინათ დაბრუნდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, სადაც საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მასპინძელთა ტრადიციული საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა. იქ საბჭოთა კავშირის ტყვიის მსროლელებმა 10-დან 8 პირველი ადგილი მოიპოვეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით შესანიშნავად იასპარეზა ვ. აგიშევმა. რ. სულეიმანოვმა პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში იმარჯვა, ა. ბუტცისმა — „გაქცეულ ტახზე" ასპარეზობაში. ვ. პარხიმოვიჩი უძლიერესი იყო პნევმატური და მცირეკალიბრიანი შაშხანით შეჯიბრებაში. კარგად გამოვიდნენ პისტოლეტით მსროლელები, რომელთა შორის კვლავ ოლიმპიური ჩემპიონი კოსიხი და ვ. სტოლიპინი უნდა გამოვყოთ.

ფაქტიურად, ესენი შეადგენენ ქვეყნის ნაკრების ბირთვს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი იყო. ფენიქსში განზრახული გვაქვს პროგრამის ყველა სახეობაში სრული გუნდით გამოვიდეთ.

რეზერვიც კარგი გვეზრდება. დასავლეთ გერმანიის ქალაქ ვისბადენში, იუნიორთა ევროპულ ჩემპიონატში, საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ. რაც შეეხება მესტენდურეებს, მათი მთავარი მწვრთნელი ნ. პოკროვსკი აღნიშნავს, რომ სასტენდო სროლაში ჩვენი პოზიციები არც ისე მყარია. მართალია, საბჭოთა სპორტსმენს ნ. დურნევს ეკუთვნის აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი — 200 შესაძლებლიდან 200 ქულა, რომლის გამეორება 8 წლის მანძილზე ვერავინ შეძლო. ჩვენ გვყავს ოლიმპიური ჩემპიონი ე. პეტროვი, გვყავს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები, მაგრამ ისინი ყველანი მრგვალი სტენდის ოსტატები არიან. ადგილიდან სროლაში კი უფრო დამაფიქრებელი მდგომარეობაა.

წარუმატებლობის მთავარი მიზეზი პირველ ყოვლისა ის არის, რომ არ გვყოფნის თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი ბაზები ადგილიდან სროლისთვის. გვაკლია კარგი იარაღი, რაც, ბუნებრივია, ახალგაზრდობის ოსტატობის ზრდას აფერხებს. მჯერა, როცა პირობებს გავაუმჯობესებთ, ათობით ისეთი ოსტატი გამოჩნდება, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის ჩემპიონი, 20 წლის ა. ალანოვი.

ბევრს უყვარს სასტენდო სროლა, რაც ნადირობას ენათესავება. სწორედ ამიტომაა, რომ სასროლეთზე ხშირად ნახავთ სულ სხვადასხვა ასაკისა და ფიზიკური მონაცემების მქონე ხალხს. მაგალითად, რსფსრ-ს ჩემპიონი ბ. ლაპშინი დიდი ხანია პენსიონერია: კიროვოგრადელი ნ. ვერიგინა კი 15 წლისაა. ცნობილმა ოდესელმა მსროლელმა, მსოფლიო ჩემპიონმა ი. ნიკანდროვმა, რომელიც მძიმე წონის მოჭიდავეს ჰგავს, უკვე 50 წელს გადააბიჯა. მოსწავლე ნ. ბესჩასტნოვა კი თოფის სიმაღლე ძლივსაა.

ახალგაზრდობა ხალისით მიდის სტენდზე სავარჯიშოდ, ოღონდ საჭიროა მათ დავეხმაროთ. მანამდე კი ფენიქსში საბჭოთა სპორტის სახელისთვის უნდა იბრძოლონ ვეტერანებმა — ე. პეტროვმა, ი. ცურანოვმა, პ. სენიჩევმა, ლ. გურვიჩმა. ამერიკის ამ ქალაქში სერიოზულ მეტოქეობას ველით კუბელებისგან (მათ ჩვენი სასტენდო სროლის ვეტერანი ნ. დურნევი ავარჯიშებს). აღარას ვამბობთ სხვა ქვეყნების უძლიერეს მესტენდურეებზე.

## შვიდი ტურის შემდეგ

სოხუმი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი.

II ტურში ი. ბარლემ (იუგოსლავია) მოუგო ლ. ფოგტს (გდრ), უ. ანდერსონმა (შვეცია) — ჯ. უბილავას, ა. პეტროსიანმა — დ. პროდანოვს (ბულგარეთი), ს. მაკარიჩევმა — ვ. პერესიპკინს. ა. პანჩენკო-ა. ბელიავსკისა და ტ. ხორვატ (უნგრეთი)-ო. რომანიშინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

III ტურში უბილავამ დაამარცხა ბარლე, ანდერსონმა — პროდანოვი, მაკარიჩევმა — პეტროსიანი, პერესიპკინმა — ხორვატი. ფოგტ-პანჩენკოსა და ბელიავსკი-რომანიშინის შეხვედრები ყაიმით დასრულდა.

IV ტურში უბილავამ სძლია პანჩენკოს, ბარლემ—პროდანოვს, ანდერსონმა — მაკარიჩევს. ბელიავსკი-ფოგტის, ხორვატ-პეტროსიანისა და პერესიპკინ-რომანიშინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

V ტურში ბელიავსკიმ მოუგო უბილავას, პანჩენკომ—პროდანოვს, მაკარიჩევმა — ბარლეს, პეტროსიანმა— პერესიპკინს. ფოგტ-რომანიშინისა და ხორვატ-ანდერსონის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

VI ტურში ბელიავსკიმ დაამარცხა პროდანოვი, ბარლემ — ხორვატი, ანდერსონმა — პერესიპკინი, რომანიშინმა — პეტროსიანი. მაკარიჩევ-პანჩენკოს პარტია ყაიმით დასრულდა. ფოგტ-უბილავას პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც ქართველ ოსტატს პაიკი აკლია.

VII ტურში მაკარიჩევმა სძლია ბელიავსკის, ფოგტმა—პროდანოვს, ბარლემ—პერესიპკინს. პეტროსიან-ანდერსონის, პანჩენკო-ხორვატისა და უბილავა-რომანიშინის შეხვედრები გადაიდო. ქართველ ოსტატს უკეთესი შანსები აქვს.

7 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 5-5 ქულით ლიდერობენ მაკარიჩევი და ანდერსონი (შვედ საერთაშორისო ოსტატს ერთი გადადებული პარტია აქვს). 4,5 ქულა მოაგროვა ბელიავსკიმ, 4-4 — ბარლემ და რომანიშინმა, 3-3 — ფოგტმა და უბილავამ. ფოგტს 1 გადადებული პარტია აქვს, ხოლო უბილავას — 2.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო საღამოს შედგება VIII ტური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი „ა" კლასი

# „ლოკომოტივმა" კვლავ დაამუხრუჭა

13 ოქტომბერს გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგი ტური. თბილისის „ლოკომოტივი" ეწვია კრასნოდარის „კუბანს" და დამარცხდა — 1:2.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 4:0, ასკ (კიევი) — „კარპატი" (ლვოვი) 1:3, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:0, „დაუგავა" (რიგა) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „ყაირათი" (ალმა-ათა) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:2, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 6:0, „რუბინი" (ყაზანი) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 4:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 37 | 22 | 9 | 6 | 60—24 | 53 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 36 | 20 | 11 | 5 | 58—21 | 51 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 37 | 21 | 9 | 7 | 43—21 | 51 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 37 | 15 | 17 | 5 | 42—21 | 47 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 37 | 17 | 10 | 10 | 44—30 | 44 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 37 | 17 | 8 | 12 | 52—41 | 42 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 37 | 16 | 9 | 12 | 32—38 | 41 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 37 | 16 | 9 | 12 | 40—30 | 40 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 37 | 14 | 11 | 12 | 41—31 | 39 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 36 | 12 | 15 | 9 | 36—33 | 39 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 37 | 13 | 12 | 12 | 37—29 | 38 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 37 | 11 | 13 | 13 | 27—35 | 35 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 37 | 13 | 7 | 17 | 33—36 | 33 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 37 | 11 | 11 | 15 | 33—45 | 33 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 37 | 10 | 13 | 14 | 30—45 | 33 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 37 | 8 | 15 | 14 | 21—32 | 31 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 36 | 10 | 9 | 17 | 31—44 | 29 |
| „პამირი" (დუშანბე) | 37 | 10 | 9 | 18 | 37—57 | 29 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 37 | 8 | 12 | 17 | 30—40 | 28 |
| ასკ (კიევი) | 37 | 9 | 9 | 19 | 34—46 | 27 |
| „დაუგავა" (რიგა) | 37 | 8 | 11 | 18 | 31—47 | 27 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 36 | 6 | 7 | 23 | 20—66 | 19 |

„ბ" კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

„ლელოს" წინა ნომერში ჩვენი კორესპონდენტები უკვე იტყობინებოდნენ 4 მატჩის შედეგს. 12 ოქტომბრის ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (სარანსკი) 1:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 4:1, „სულორი" (ვანი) — „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 29 | 15 | 9 | 5 | 46—22 | 39 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 29 | 16 | 7 | 6 | 37—21 | 39 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 31 | 11 | 14 | 6 | 37—31 | 36 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 31 | 8 | 19 | 4 | 36—26 | 35 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 12 | 10 | 7 | 39—23 | 34 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 27 | 14 | 5 | 8 | 41—29 | 33 |
| „კახეთი" (თელავი) | 29 | 14 | 5 | 10 | 39—34 | 33 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 27 | 10 | 9 | 8 | 42—25 | 29 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 27 | 8 | 13 | 6 | 24—18 | 29 |
| „სულორი" (ვანი) | 31 | 11 | 7 | 13 | 27—44 | 29 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 28 | 9 | 9 | 10 | 19—24 | 27 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 28 | 7 | 12 | 9 | 36—36 | 26 |
| „დინამო" (სოხუმი) | 31 | 7 | 12 | 12 | 28—35 | 26 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 28 | 7 | 9 | 12 | 22—28 | 23 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 28 | 8 | 7 | 13 | 30—52 | 23 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 30 | 5 | 7 | 18 | 23—52 | 17 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 29 | 4 | 8 | 17 | 16—40 | 16 |

# საქართველოს ჩემპიონატი

11 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იბერია" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ეს იყო მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე და სწრაფ ტემპში დაიწყო. უკვე მე-4 წუთზე ჭიჭინაძემ მასპინძელთა კართან ფლანგიდან ჩამოაწოდა ბურთი, რომელიც ძელს მოხვდა და ბადეში ჩავშვა — 1:0. ცხაკაიელები არ დაიბნენ, მალე დაეუფლნენ ინიციატივას და მეტოქის კარის მეთოდური იერიშები დაიწყეს. მასპინძელთა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო ტაიმის ბოლოს, როცა ჩარკვიანი კარგად გავიდა გარღვევაზე მარცხენა ფლანგიდან და წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუტარა — 1:1.

შესვენების შემდეგ სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ კარში გაგზავნილი ბურთი ძელს მოხვდა. ამის მერე გამუდმებით ცხაკაიელები უტევდნენ, მაგრამ უზუსტო დარტყმების გამო მიზანს ვერ მიაღწიეს.

● „სქური" (წალენჯიხა) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 8:1. მსაჯი ვ. ხარატიშვილი (ხაშური).

● „სინათლე" (თბილისი) — „ციხკარი" (სიღნაღი) 4:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ თამაში თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, პირველ ტაიმში მათ მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლეს. ანგარიში გახსნა სიმონიშვილმა.

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძლებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს. თბილისელმა ლორიამ ორჯერ ზედიზედ აიღო კარი, ხოლო მატჩის ბოლოს აივაზოვმა გაზარდა ანგარიში — 4:0.

აღსანიშნავია, რომ თბილისის „სინათლემ" ამ ბოლო ხანს თამაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. საკმარისია ითქვას, რომ ამ გუნდმა უკანასკნელ 5 მატჩში 9 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილშიც გამოიკეთა საქმე.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი თ. ნიშნიანიძე (თერჯოლა).

● „ენგური" (ზუგდიდი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:2. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „გიგანტი" (ლაითური) — ასკ (თბილისი) 3:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

შეხვედრის დაწყებისთანავე ინიციატივა ლაითურელთა მხარეს იყო, მაგრამ შესვენებამდე ისინი ძალზე შეუთანხმებლად თამაშობდნენ და ანგარიშიც ... გახსნილა. მეორე ტაიმში მასპინძლების მოქმედებაში მეტი ორგანიზებულობა ჩანდა და წარმატებასაც მიაღწიეს: ზედიზედ 3 გოლი გაიტანეს და საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს.

● გალის „მზიურს" საკუთარ სტადიონზე შექმნილი უწესრიგობისთვის წაგება ჩაეთვალა სამტრედიის „ლოკომოტივთან".

## II ჯგუფი

### I ზონა

„ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:2, „სპარტაკი" (რუსთავი) — „შევარდენი" (თბილისი) 4:1, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:2, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „აბული" (ახალქალაქი) 2:1. დუშეთის „არაგვს" და მცხეთის „არაგვს" ახპინძის „ვარძიასთან" და ყვარლის „დურუჯთან" შესაბამისად წაგება ჩაეთვალათ.

### II ზონა

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:0, „ოდიში" (ზუგდიდი) — „დინამო" (ქუთაისი) 1:0, „ჭოროხი" (ბათუმი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „განთიადი" (აბაშა) — 3:3. ადიგენის „განახლებას" ქედის „კოლმეურნესთან" წაგება ჩაეთვალა.

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 36 | 22 | 9 | 5 | 70—42 | 53 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 37 | 22 | 8 | 7 | 77—34 | 52 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 36 | 19 | 12 | 5 | 74—37 | 50 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 34 | 16 | 12 | 6 | 58—30 | 44 |
| „სინათლე" (თბილისი) | 35 | 17 | 10 | 8 | 62—36 | 44 |
| „იბერია" (ცხაკაია) | 32 | 18 | 8 | 6 | 54—29 | 44 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 35 | 17 | 10 | 8 | 52—31 | 44 |
| „ისანი" (თბილისი) | 36 | 12 | 17 | 7 | 41—33 | 41 |
| „სამცხე" (აწყური) | 34 | 12 | 14 | 8 | 34—32 | 38 |
| „მზიური" (გალი) | 35 | 10 | 17 | 8 | 43—39 | 37 |
| ასკ (თბილისი) | 37 | 14 | 8 | 15 | 43—47 | 36 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 36 | 13 | 10 | 13 | 46—57 | 36 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 37 | 11 | 13 | 13 | 50—54 | 35 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 37 | 10 | 13 | 14 | 36—42 | 33 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 36 | 9 | 14 | 13 | 40—57 | 32 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 34 | 9 | 11 | 14 | 39—37 | 29 |
| „ციხკარი" (სიღნაღი) | 36 | 8 | 13 | 15 | 24—41 | 29 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 36 | 6 | 15 | 15 | 25—43 | 27 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 36 | 5 | 15 | 16 | 39—67 | 25 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 36 | 5 | 10 | 21 | 40—74 | 20 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 36 | 5 | 8 | 23 | 34—68 | 18 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 37 | 4 | 9 | 24 | 40—91 | 17 |

### II ჯგუფი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისთვის

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 24 | 14 | 6 | 4 | 59—24 | 34 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 23 | 15 | 4 | 4 | 44—16 | 34 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 25 | 14 | 4 | 7 | 56—35 | 32 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 24 | 14 | 4 | 6 | 47—32 | 32 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 23 | 12 | 7 | 4 | 44—29 | 31 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 25 | 10 | 8 | 7 | 46—41 | 28 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 25 | 12 | 3 | 10 | 44—29 | 27 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 23 | 10 | 7 | 6 | 39—36 | 27 |
| „მშენებელი" (წალკა) | 23 | 11 | 4 | 8 | 32—35 | 26 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 26 | 7 | 6 | 13 | 24—41 | 20 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 24 | 6 | 7 | 11 | 35—42 | 19 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 24 | 7 | 4 | 13 | 27—48 | 18 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 25 | 5 | 5 | 15 | 28—49 | 15 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 24 | 3 | 5 | 16 | 21—43 | 11 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 24 | 3 | 2 | 19 | 28—74 | 8 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ივერია" (ხაშური) | 22 | 14 | 7 | 1 | 35—13 | 35 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 22 | 13 | 7 | 2 | 41—15 | 33 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 23 | 7 | 11 | 5 | 27—20 | 25 |
| „ჭოროხი" (ბათუმი) | 23 | 10 | 5 | 8 | 30—26 | 25 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 22 | 10 | 4 | 8 | 34—22 | 24 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 22 | 8 | 5 | 9 | 21—25 | 21 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 21 | 8 | 5 | 8 | 27—34 | 21 |
| „განახლება" (ადიგენი) | 22 | 8 | 4 | 10 | 25—30 | 20 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 22 | 8 | 4 | 10 | 28—34 | 20 |
| „განთიადი" (აბაშა) | 23 | 3 | 11 | 9 | 18—30 | 17 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 22 | 5 | 6 | 11 | 27—37 | 16 |
| „მექანიკოსი" (სამტრედია) | 21 | 6 | 3 | 12 | 26—36 | 15 |
| „კოლმეურნე" (ქედა) | 21 | 4 | 6 | 11 | 18—35 | 14 |

# ორ დღეს ლიდერობდნენ

ერევანი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ქალაქის ბაზებზე გრძელდება ხუთჭიდელთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც არმიის სამხედრო ოლქების, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოებისა და „დინამოს" 14 გუნდი მონაწილეობს. საქართველოდან ტურნირში „დინამოს" ნაკრები გამოდის.

ასპარეზობის პირველი სახეობა ფარიკაობა იყო. აქ ყველას აჯობა ქ. ოსიპოვმა („ენბეკი"), რომელმაც 1054 ქულა მოაგროვა და 27 ქულით ჩამოიტოვა ს. სობენევსკი („დაუგავა"). ი. ქოჯაია (საქართველოს „დინამო") 1000 ქულით III ადგილზე გავიდა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ა. მაროტიმ 973 ქულით V ადგილი მოიპოვა. სამაგიეროდ, საქართველოს სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ. მათ იმდენივე ქულა (2636) მოაგროვეს, რამდენიც კარპატის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელებმა, მაგრამ პირად შეჯიბრებაში მოპოვებული საპრიზო ადგილების უპირატესობით ჩვენები გახდნენ ლიდერები.

ცხენოსნური კროსის დისტანცია ყველაზე სწრაფად (1.37,8) გაიარა ი. ფედოსეევმა (ბალტიის ფლოტი) — 1100 ქულა. ა. მაროტიმ ამდენივე ქულა მოაგროვა, მაგრამ დისტანციის გავლას მეტი დრო (1.45,0) მოანდომა. III ადგილზე იყო ი. ზორევი (კარპატის სამხედრო ოლქი) — 1060 ქულა. ქოჯაიამ 955 ქულა მიიღო და V ადგილი დაიკავა.

ორი სახეობის შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა მაროტი — 2073 ქულა. იგი ოსიპოვს 89 ქულას უგებდა. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობდა საქართველოს „დინამო", რომელსაც 5491 ქულა დაუგროვდა, II ადგილზე იყო კარპატის სამხედრო ოლქის ნაკრები — 5241, III — „დაუგავა" — 5237.

მაგრამ საქართველოს დინამოელები სროლასა და ცურვაში სუსტად გამოვიდნენ. სროლაში იმარჯვა პ. ლედნიოვმა (კარპატის სამხედრო ოლქი), რომელმაც 200-დან 198 ქულა დააგროვა და 1088 ქულა მიიღო. II ადგილზე გავიდა ს. ზაბინევსკი (უკრაინა, „დინამო") — 196-1044, III ს. ჩერნავინი („დაუგავა") — 195-1022. საქართველოს გუნდიდან საუკეთესომ — მაროტიმ სროლაში მხოლოდ 188 ქულა აჩვენა. ამიტომ მან პირად ჩათვლაში ლიდერობა დაუთმო ლუკიანენკოს (მოსკოვის სამხედრო ოლქი) — 2980. თვითონ კი სამი სახეობის ჯამში 2941 ქულა დააგროვა და II ადგილზე გადაინაცვლა.

ცურვაში იმარჯვეს მოსკოვის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა — ვ. შმელიოვმა (3.33,5) — 1164 ქულა, და ბ. მასლოვმა (3.37,4) — 1136 ქულა. მესამე შედეგი აჩვენა ს. შაპარნისმა (ბალტიის ფლოტი) — 1072 ქულა.

ოთხი სახეობის ჯამში ლუკიანენკო საგრძნობლად დაწინაურდა — 4008 ქულა. II ადგილზეა ი. ზორევი — 3860, III — ს. ჩერნავინი — 3837.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს კარპატის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელთა ნაკრები, რომელსაც 11207 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან „დაუგავა", ბალტიის ფლოტილია და საქართველოს „დინამო".

ა. მხითარიანი.

# დამატებით დროში

სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში 13 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის მოტობურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოს გუნდი საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა. ზელენოკუმსკში გამართულ ფინალურ ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიისა და რსფსრ-ს კოლექტივები. მეტოქეებმა ოთხი 20-20-წუთიანი ტაიმი ფრედ (5:5) დაამთავრეს. დამატებით დროში რსფსრ-ს გუნდმა კიდევ 2 გოლი გაიტანა და გაიმარჯვა — 7:5.

III ადგილისთვის მოსკოვისა და ყაზახეთის გუნდები იბრძოდნენ. მოსკოველებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ — 0:6.

# ედი მერქსის ლანგუსტები



ეს მოხდა სარდინიის ტურის დროს. ვახშმობისას მერქსმა ხელის უხეირხული მოძრაობით სამარილე წამოაქცია. „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცუდი არაფერი მოხდება“, — თქვა იქვე მჯდომმა ველოსიპედისტმა ვ. ადორნიმ და თანამესუფრეს თვალებში ჩააშტერდა. მერქსმა, რომელმაც პირველივე ეტაპის შემდეგ ხელთ იგდო ლიდერობა, მხრები აიჩეჩა და ლანგუსტის მესამე ულუფას ერთი ყლუპი შამპანური დააყოლა. სუფრაზე დაყრილი მარილი მისთვის არაფერს ნიშნავდა, წინათგრძნობისაც არ სწამდა, თორემ შესაძლოა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარიც ეთქვა.

მერქსი თავის ავტობიოგრაფიაში იწყებს: „დავიბადე 1945 წლის 17 ივნისს. თითქოს არაფერია, არა? მაგრამ 17 რიცხვი ბელგიაში უბედურების ნიშანია. მე ეს, მართალი გითხრათ, სრულებითაც არ მაწუხებს, ვინაიდან თავს საკმაოდ ბედნიერად ვთვლი“.

„იქნებ თქვენთვის 13 რიცხვია ცუდის ნიშანი?“

„არა მგონია. 1965 წელს ფინიშამდე 13 კილომეტრით ადრე ერთ-ერთი რბოლის შეწყვეტა მომიხდა. ეს იყო ჩემი, როგორც პროფესიონალის დებიუტი ველოსპორტში. წინათგრძნობის რომ მშინებოდა, რბოლას ალბათ არც გავაგრძელებდი. მე კი, პირიქით, ამ მარცხმა გამაბრაზა და იმავე წელს ბელგიასა და ჰოლანდიაში 8 რბოლა მოვიგე. ხომ ხვდებით, რატომ არ მაშინებს არც 17, არც 13 და არც სუფრაზე დაყრილი მარილი?“

ასეთია ედი მერქსი, ოდნავ გულუბრყვილო და გულგრილი სახის ახალგაზრდა. გარეგნობით იგი ჩინოვნიკს უფრო ჰგავს, უფროსის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელს. სინამდვილეში პირიქითაა. თუ ველოსიპედისტთა უმრავლესობის საყვარელი კერძი შემწვარი ხორცია, მერქსი მუდამ სხვა საჭმელს მიირთმევს და თავსაც მშვენივრად გრძნობს.

მერქსი გულდასმით უსმენს შენიშვნებს, მაგრამ გადაწყვეტილებას მხოლოდ თვითონ იღებს. ამასთან, მისი გადაწყვეტილებები მეტწილად ექსპერიმენტის ხასიათისაა და სარისკო. შარშან „ჯირო დ' იტალიის“ დროს, იგი ავად გახდა და გუნდის ხელმძღვანელებმა, ბუნებრივია, რბოლის შეწყვეტა მოსთხოვეს. მერქსმა უპასუხა, რომ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს. მერე რამდენიმე საბანი მოითხოვა და ოფლმდენი წამალი დალია.

მეორე დღეს მან რბოლა განაგრძო, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მაგრამ ბრძოლას მაინც არ ტოვებდა. 100 კილომეტრის შემდეგ ავადმყოფმა უკეთ იგრძნო თავი, ფინიშთან კი სავსებით გამოჯანმრთელდა. მოგვიანებით მერქსი იხსენებდა: „მეშინოდა, მეტოქეებს პირველივე კილომეტრებზე არ დაეწყოთ შეტევა. მაშინ მე ძალა არ მქონდა. მერე კი ავადმყოფობა დავძლიე და სიცხემაც დამიკლო“.

ის, რაც სხვებისთვის ლოგიკურია და ყურადსაღები, მერქსს ხშირად ალოგიკურად ეჩვენება. ერთ-ერთი რბოლის წინ მას აეროპორტში შევხვდი. წონაში თურმე 5 კილოგრამი ჰქონდა მომატებული. მწვრთნელები დარწმუნებული იყვნენ რომ დისტანციას ვერ დაამთავრებდა. მაგრამ სპორტსმენი რაღაც ხაზგასმულად მშვიდად გამოიყურებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რბოლაც მოიგო. მეორე რბოლის წინ ყველას ეგონა, რომ ამდენი შეჯიბრებით ქანცგამოლეული მერქსი უეჭველად დამარცხდებოდა, მაგრამ მან ეს რბოლაც მოიგო.

გამარჯვება მერქსის პროფესიად იქცა. იგი იგებს გაზაფხულზე, ზაფხულობით, შემოდგომით. იგებს მწველი მზის სხივების ქვეშაც და ნამქერშიც, აღმართებზეც და თავდაღმართებზეც, მშრალ ... ვინ ელის მისგან გამარჯვებას. მერქსის დასახასიათებლად ... ეპითეტები, რომლებითაც ერთ დროს ლეგენდარულ ფაუსტო კოპის ამკობდნენ. მისთვის ბევრი ახალი ეპითეტი გამოიგონეს, და ყოველი ახალი რბოლის შემდეგ კვლავ იგონებენ.

ვინ არის მერქსი — ფენომენი? ვფიქრობ, რომ არა. იგი ექსტრაკლასის მრბოლელია, დიდი ველოსიპედისტი, სპორტსმენი, რომელიც ფაუსტო კოპის მსგავსად ველოსპორტს თაყვანს სცემს. ედი მერქსი ათლეტია, რომელშიც კარგად არის შერწყმული ფიზიკური ძლიერება და ჭკუა, აგრეთვე, ის სიახლენი, რაც ველოსპორტში ბოლო წლებში შეინიშნება.

განა მძლეოსნურ სპრინტში არ დაძლიეს 10-წამიანი ზღვარი? რატომ არ შეიძლება ველოსპორტშიც არსებობდეს ასეთი მიღწევა? ვინ თქვა, რომ ფაუსტო კოპის მაჩვენებლების გამეორება ან გადაჭარბება წარმოუდგენელია? თუმცა კოპი სხვა დროს გამოდიოდა და ამიტომაც მისი სიდიადე ხელშეუხებია. ალბათ ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება მერქსი, როცა მსოფლიოს მასზე ძლიერი ველოსიპედისტი მოევლინება.

დღეს იმიტომ გამოდის იგი ასე ხშირად შეჯიბრებებში, რომ კარგად იცის — ხვალ გვიან იქნება. სანამ მერქსი განუმეორებელია, ორგანიზატორები ყოველმხრივ ელაქუცებიან. მას უყვარს ფული და ამიტომაცაა, რომ ერთი რბოლის დამთავრებისთანავე სტარტს მეორეში იღებს.

„არ დაიღალეთ?“

„რა თქმა უნდა, ხშირად არა მაქვს დასვენების დრო, მაგრამ ველოსპორტი ჩემი პროფესიაა. განა სხვა პროფესიონალები არ ცდილობენ სახელი გაითქვან? რატომ არ უნდა მოვიქცე მეც ასევე?“

თავისი პოზიციიდან მერქსი უდავოდ სწორია და ძნელია შეაცვლევინო მას მსოფლმხედველობა. ამას ვერავინ ახერხებს. მწვრთნელები ცდილობენ, ველოსიპედისტს დასვენების დრო მისცენ, მერქსი კი ყოველთვის თავის ჭკუაზე იქცევა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ საერთოდ უკუღმართია, უბრალოდ, ასეა მისი გონება მოწყობილი.

„ყურს რომ არავის უგდებთ, შეცდომისა არ გეშინიათ?“

„მუდამ როდი უარვყოფ რჩევას. ჩემი მეპატრონეების შენიშვნებს, როგორც წესი, გულდასმით ვუსმენ, მაგრამ თუ მათ რჩევას გადავუხვევ, დარწმუნებული ვარ, არ შევცდები“.

„აქამდე მუდამ პირველი იყავით. თქვენი საზრით, დიდხანს გაგრძელდება ასე?“

„ჩემს შესაძლებლობებს ჩემზე უკეთ ვინ განაგებს? ფინიშზე მუდამ ვამოწმებ, რამდენად სწორად გავანაწილე ძალები. საერთოდ, სტარტსა და ფინიშს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვპოულობ და ამიტომაცაა ალბათ, რომ ახალ რბოლაში გამოსვლის ძალა მყოფნის“.

„გამოდის, რომ თქვენი თავის ბუღალტერი თქვენვე ხართ?“.

„თითქმის. და ბალანსიც მუდამ სწორი მაქვს“.

სწორი და მერე როგორი. სანამ ერთ რბოლაში გამოდის, მერქსი უკვე მეორეზე ფიქრობს და გონებაში ახალ კონტრაქტებს ახარისხებს. სეზონის ბოლოს კი შედეგებს აჯამებს. იგი კმაყოფილია წლის სპორტული და ფინანსური ანგარიშით.

როცა ღვთაებრივ საოცრებას უწოდებენ, სახეზე ღიმილი გადაჰკრავს ხოლმე, მერქსის მაგიდაზე მუდამ დგას ლანგუსტებით სავსე ლანგარი, შემწვარ ხორცს კი ისინი შეექცევიან, ვისაც არასდროს მოუგია რბოლა.

**პიეტრო მონდინი,**
იტალიელი ჟურნალისტი.

სურათზე: ე. მერქსი (წინა-პლანზე) რბოლის დროს.

**• KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •**

## ტორეადორი და ფეხბურთი

ესპანეთის კლუბ „კორდობას“ ერთი ფრიად სახელოვანი გულშემატკივარი ჰყავს — პოპულარული ტორეადორი მანუელ ბენიტეზი. საუკეთესო ტორეადორის გამოსვლები დიდძალ მაყურებელს იკრებს. მას უმდიდრეს ადამიანად თვლიან, რადგან საარაკო ჰონორარს იღებს.

ხარებთან ბრძოლა ბენიტეზის პროფესიაა, მისი სიყვარული კი განუყოფლად ფეხბურთს ეკუთვნის. იგი მთელ თავისუფალ დროს „კორდობას“ კლუბში ატარებს, დაჰყვება კიდეც მას სხვა ქალაქებში. ბენიტეზმა თავისი თავი ბედნიერად მაშინ ჩათვალა, როდესაც „კორდობას“ შემადგენლობაში 3 ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, თუმცა მატჩებს დიდძალი მაყურებელი დაესწრო, ჰონორარი თვით ტორეადორმა გადაიხადა — მან „კორდობას“ 1 მილიონი პესეტი გადასცა.

● ●

## პატი და პატაშონი

ასე უწოდებენ მადრიდის „რეალის“ სახელოვან მარცხენა გარემარბს ჰენტოსა და ამავე გუნდის ახალგაზრდა მეკარეს ჟონკეირას. ეს უკანასკნელი „რეალში“ შედარებით ახალი ფიგურაა. ადრე იგი ესპანეთის პირველი ლიგის სხვადასხვა კლუბში თამაშობდა.

და აი, ჰენტო და ჟონკეირა დამეგობრდნენ. მთელ დროს ერთად ატარებენ. ჟონკეირა გოლიათური აღნაგობისაა — სიმაღლით 197 სანტიმეტრია, ეს მაშინ, როცა მისი ვეტერანი მეგობარი ჰენტო ფრიად ტანმორჩილი გახლავთ — 167 სმ სიმაღლისაა.

● ●

## საოცარი ალღოს კაცი

ამ დღეებში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ერთი თავისებური ბანკეტი გამართა. გუნდმა პენსიაზე გააცილა 76 წლის ჯო არმსტრონგი, კაცი, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია კლუბს.

ინგლისის ყველა 88 პროფესიულ კლუბს ჰყავს ე. წ. „სკაუტი“. ეს გახლავთ სპეციალისტი, რომელიც განუწყვეტლივ მოგზაურობს ქვეყანაში, ესწრება მოსწავლეთა შეხვედრებს, უამრავ „ქუჩის მატჩს“ თუ ბავშვთა შემთხვევით თავშეყრას. „სკაუტი“ ეძებს ტალანტებს თავისი კლუბისათვის. და ასეთი პროფესიის ადამიანებს შორის პირდაპირ ზღაპრული სახელი ჰქონდა არმსტრონგს, საოცარი ალღოს ადამიანს. სწორედ მან მონახა ბავშვთა გუნდებში ბ. ჩარლტონი და ჯ. ბესტი.

არმსტრონგმა, რომელიც ინგლისში მეტად პოპულარულია, თავისი ფუნქციები გადააბარა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ფეხბურთელს ჯონ ასტონს. ასტონის ერთ-ადერთი „აღმოჩენა“ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ გახლავთ... მისი ვაჟი! ახალგაზრდა ასტონი ახლა წარმატებით თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში მარცხენა გარემარბად.

### მოკლედ

● **ბარსელონა.** ადგილობრივ კლუბ „ესპანიოლის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ფ. დაუცივი, რომელიც აქამდე „სან ანდრესს“ წვრთნიდა.

● **მონტევიდეო.** წარსულში ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი მეკარე მასპოლი მონტევიდეოს „პენიაროლს“ წვრთნის.

● ●

## ბრიტო იყიდება

ამ საოცარმა ცნობამ მთელი ბრაზილია ააფორიაქა. ეგრეთ წოდებულ „სატრანსფერო ქაღალდზე“ (სადაც გასაყიდ მოთამაშეთა გვარებს აქვეყნებენ ხოლმე) „ფლამენგომ“ წააწერა: „ბრიტო!“

რაშია საქმე! ბრიტო ხომ ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, და, მიმომხილველთა ცნობით, ჩინებულ ფორმას ინარჩუნებს. საიდუმლოს მალე აეხადა ფარდა. ფეხბურთელს დიდი უთანხმოება აქვს „ფლამენგოს“ მწვრთნელთან, არაფრად აგდებს მას. ამიტომ მწვრთნელმა კატეგორიულად განაცხადა— „ან მე, ან ბრიტო!“

## ყველაზე მძიმე ფეხბურთელი

ვინაა ყველაზე მძიმე ფეხბურთელი?! ფეხბურთელებს ამ ნიშნის მიხედვით არასოდეს ახასიათებდნენ, თუმცა საინტერესოა, რომ იუგოსლავიის ქ. სპლიტში არის ისეთი მოქმედი მოთამაშე, რომელიც 144 კილოგრამს იწონის. დუშან პიკეშიჩი, „სპლიტის“ მცველია, იგი 33 წლისაა. დიდი წონის მიუხედავად, პიკეშიჩი მოქმედებს საკმაოდ სწრაფად, თავგანწირულად და, რაც მთავარია, არასოდეს მიმართავს უხეშ ილეთებს.

პიკეშიჩი სპლიტელი გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი გახლავთ.

● ●

## ჰალერი ნაკრებს გამოეთხოვა

ცნობილმა გერმანელმა ნახევარმცველმა ჰ. ჰალერმა, რომელიც 1966 წელს დიდი წარმატებით გამოვიდა ინგლისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, წლეულს მეხიკოში მხოლოდ 1 მატჩში ითამაშა. მან განაცხადა, რომ საბოლოოდ ტოვებს გფრ-ის ნაკრებს. ჰალერი უკმაყოფილოა იმ გარემოებით, რომ მწვრთნელმა ჰ. შიონმა მას „არ მიაქცია ყურადღება“ — უპირატესობა სხვა ნახევარმცველებს მიანიჭა.

ჰალერმა თქვა, რომ კიდევ 3 სეზონს დაჰყოფს იტალიაში (იგი ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობს), შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



## „ველოსიპედი—გიგანტი“

განუყრელმა მეგობრებმა, ქალაქ ლიონის სტუდენტებმა, გადაწყვიტეს ერთად ყოფილიყვნენ ველოსიპედებით სეირნობის დროსაც და ამ მიზნით შექმნეს „ველოსიპედი—გიგანტი“. ახალგაზრდებს გადაწყვეტილი აქვთ თავიანთი ნახელავით შორეული მოგზაურობა მოაწყონ.

### დღეს

საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 87) გაიხსნება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ფილატელისტური გამოფენა სპორტულ თემაზე. დასაწყისი 19 ს.